საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე ინგა ბორისის ასული

ი. თევზაძე

თევზაძე ინგა ბორისის ასული (30. VII. 1941, თბილისი, - 24. XII. 2025. იქვე), მოცეკვავე და ბალეტმაისტერი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1958-იდან სწავლობდა თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტის ხალხ. ცეკვების რეჟისორ-საბალეტმაისტერო ფაკ-ტზე (1987). 1961-იდან იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის (ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართ. ნაც. ბალეტი) სოლისტი. 1990-იდან – ბალეტმაისტერი. თ. მონაწილეობას იღებდა ანსამბლის მთელ რეპერტუარში. ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში: „სიმდი”, „აჭარული”, „მიპატიჟება”, „დავლური”, „სამაია” და სხვ. თ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია მუსიკალობა, სინარნარე, არტისტიზმი, პლასტიკურობა.

სოლისტი ი. თევზაძე